შ.პ.ს. აიმუვის.ჯი ფინანსური მდგომარეობა 2022 წელი

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივა	4733	699547	246580
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1397279	2178932	2086687
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებ	6159	14715	149
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10809	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	19921	27921	35921
ძირითადი საშუალებები	42684	140169	206133
ინვესტიციები შვილობილ კომპანი	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილ	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1481585	3061284	2575470
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	36431
სავაჭრო ვალდებულებები	13615	16000	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთ	0	5000	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	50124	84278
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრებ	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრებ	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	9875	16757	2387
სულ ვალდებულებები	23490	87881	123096
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევ	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვ	1458095	2973403	2452374
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონ	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1458095	2973403	2452374
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდ	1481585	3061284	2575470
სულ მოკლევადიანი აქტივები	1418980	2893194	2333416
სულ მოკლევადიანი ვალდებულებ	21102	85495	123078

შ.პ.ს. აიმუვის.ჯი #2 საქმიანობის შედეგები 2022 წელი

საქმიანობის შედეგები	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	1555225	4940111
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1555225	4940111
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1555225	4940111
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-590933	-678881
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-112307	-99704
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-74042	-81858
ადმინისტრაციული და სხვა საოპერ	-882235	-872412
სულ საოპერაციო ხარჯები	-1659517	-1732855
საოპერაციო მოგება	-104292	3207256
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურებ	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) /	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუ	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი /	-27674	-2982
მოგება / (ზარალი) მოგების გადასა	-131966	3204274
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება /	-131966	3204274
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორ	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზ	-131966	3204274
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებ	2973403	2452374
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შ	-1383342	-2683245
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებ	1458095	2973403

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმო	0	0

საინვესტიციო საქმიანობიდან წარ	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოე	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გალ	0	0
ვალუტის კურსის ცვლილების გავ	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივა	699547	246580
ფულადი სახსრები და მათი ეკვივა	0	0

imovies.ge Ltd
imovies
watch online
404987289

შენიშვნები შ.პ.ს. აიმუვის.ჯი-ს (შემდგომში IMOVIES) 2022 წ. ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (“ფასს”) შესაბამისობაში.

1. ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი (GEL) წარმოადგენს IMOVIES -ს მოქმედ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც გამოსახულია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ლარში.

1. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო ბალანსებისგან, განთავსებულია საქართველოს ბანკებში, რომლის ემიტენტის დეფოლტის მოკლევადიანი რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის - B.

2. სესხები და დებიტორული დავალიანებები

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მისი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით.

სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სესხები და მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები და ფული და ფულის ექვივალენტები.

3. გადახდილი ავანსები

საქონლის და მომსახურების მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები აღიარდება გადახდილის წმინდა თანხის ოდენობით. უცხოურ ვალუტაში გადახდილი ავანსები წარმოდეგნილია გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით და არ გადაანგარიშდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ კურსზე.

4. მატერიალურ – საწარმოო მარაგები

მარაგები წარმოდგენილია მისი ღირებულებით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დასრულების ღირებულება და გაყიდვის დანახარჯები.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად და/ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია 1 წელზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. აღირიცხება აკუმულირებულ ცვეთასა და აკუმულირებულ გაუფასურებაზე ნაკლები ღირებულებით. მიწა აღირიცხება თვითღირებულებით, მინუს აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

ღირებულება მოიცავს აქტივების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება სხვაობით გაყიდვიდან მიღებულ სარგებელსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებული იქნება წმინდა ღირებულებად სხვა შემოსავლის/სხვა გასავლის ფარგლებში მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

6. ცვეთა

ცვეთა ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი დამონტაჟებისა და საექსპლუატაციო მზადყოფნის დღიდან, ხოლო შიდა კონსტრუირებული აქტივების შემთხვევაში, აღნიშნული აქტივების დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა განისაზღვრება აქტივის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, ძირითადი საშუალებების კომპონენტების ყოველი ნაწილის საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასების საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივით გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. საიჯარო აქტივების ცვეთა ხორციელდება უფრო მოკლე საიჯარო ვადაში და ვარგისიანობის ვადაში. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასება მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- მოწყობილობები და მანქანა-დანადგარები 3-5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები, აღჭურვილობა და ინვენტარი 3-5 წელი

ცვეთის მეთოდები, საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და შესწორდება შესაბამისად.

7. იჯარით გაცემული აქტივები

იჯარით გაცემული აქტივები ითვალისწინებს კონკრეტული აქტივის გამოყენების უფლების გადაცემას იჯარის მოქმედების ვადაში.

IMOVIES იჯარით გაცემული აქტივები არ არის ჩამოწერილი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებიდან. საოპერაციო იჯარების შესაბამისად განხორციელებული გადახდები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის მოქმედების ვადაში.

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შეფასებულია მათი თავდაპირველად შეფასებულ წმინდა ღრებულებას გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაციის თანხა.

9. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ამორტიზაცია ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მინუს შეფასებული ნარჩენი ღირებულება. ამორტიზაცია ზოგადად აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საშუალებით, არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასების საფუძველზე,

10. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ესტონური მოდელის მიხედვით მიმდინარე გადასახადი აღიარებულია შემოსავალში ან ზარალში მოგების განაწილების ან მოგების გადასახადით დაბეგვრას დაქვემდებარებული ოპერაციის განხორციელებისას სააღრიცხვო პერიოდში ყოველი თვის ჭრილში.

გაუნაწილებელი მოგების გადასახადი არ ექვემდებარება აღიარებას:

11. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა შემთხვევისა თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

12. ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და დებიტორულ დავალიანებებს, ფულს და ფულის ქვივალენტებს, სესხებს და კრედიტებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

ა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები – აღიარება

IMOVIES პირველადად აღიარებს სესხებსა და დებიტორულ დავალიანებებს, მათი წარმოშობის დღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარება ხდება პირველადად

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ექვემდებარება ანაზღაურებას და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებულ სუფთა თანხას მხოლოდ მაშინ, როდესაც IMOVIES-ს გააჩნია თანხების ანაზღაურების სამართლებრივი უფლება და სურს მოახდინოს ანგარიშსწორება სუფთა სახით ან უზრუნველყოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების ანგარიშსწორება ერთდროულად.

ბ. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით მინუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულება.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, და სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც IMOVIES აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს

ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

13. სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების კლასიფიკაცია ხდება კაპიტალის სახით. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

14. შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც კომპანია უზრუნველყოფს მომსახურებების გაწევას ხელშეკრულების თანახმად. შემოსავლის ოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს საიმედოდ და სავარაუდოდ მოხდება ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსავლები აღნიშნული მომსახურებებიდან, , აღიარებულია მთლიანი თანხით, რომელიც გამოწერილია კლიენტისთვის მისაღები თანხით მომსახურების ხელშეწყობის საკომისიოს სახით.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით.

კომპანიას აქვს შემდეგი მთავარი შემოსავლის ნაკადები: ინტერნეტ სარეკლამო მომსახურება, ვებ-გვერდის ტექნიკური მომსახურება, ელექტრო მოწყობილობების გაყიდვები, იჯარით გაცემული ელექტრო მოწყობილობები, ურთიერთკავშირების მომსახურებები. შემოსავალი აღიარებულია მომსახურების დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ა) ურთიერთ კავშირების მომსახურებები : წვდომის გადასახადები ურთიერთკავშირის მომსახურებებზე მიიღება სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებების ოპერატორებისგან ტრაფიკისთვის, რომელიც არეგულირებს IMOVIES -ს მიერ სხვა ოპერატორების ქსელების გამოყენებას. შემოსავლები ურთიერთკავშირის მოსაკრებლებიდან აღიარებულია მომსახურებების შესრულების დროს.

15. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ სარგებეი ან ზარალი ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის მდგომარეობაში.

16. არაფუნქციონირებადი საწარმო

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის კომპანიის დამფუძნებლებმა, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კომპანიის აქტივების, ბიზნესის გადაცემა სხვა კომპანიისთვის. მოხდა ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბის რადიკალურ ცვლილება. არსებობს ეჭვი ორგანიზაციამ განაგრძოს ფუნქციონირება უახლოეს მომავალში. შესაბამისად ორგანიზაცია წარმოადგენს არაფუნქციონირებად საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არაფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

დირექტორი / თამთა ნიქაბაძე